



**USAID**  
აშშ-ის საგარეო სახმელეთო  
დახმარების სააგენტო

პროექტი ზრდა საქართველოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



# PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ  
2017 წ. 15 მაისი  
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:  
ქეთი რეხვიაშვილი, კომუნიკაციების მენეჯერი  
ტელ: 032 222 7495  
ელ-ფოსტა: krekhiashvili@zrda.ge

## **USAID-ის Zrda პროექტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს**

### **ერთობლივი ინიციატივები პანკისის ხეობაში თემების გაძლიერების მიზნით**

**პანკისის ხეობა, ქვემო ხალაწანი** - 2017 წლის 15 მაისს, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორმა დაგლას ბოლმა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა გადასცეს სავლე ლაბორატორიული აღჭურვილობა ახმეტის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს, ერთ-ერთს იმ 14 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრიდან, რომლებსაც პროექტი Zrda უწევს დახმარებას. ვიზიტის დროს, სტუმრები შეხვდნენ სათბურების მეპატრონე ფერმერებს და საოჯახო სასტუმროების მფლობელებს პროექტის მიერ განხორციელებული სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების პროგრამების ფარგლებში.

2017 წ. გაზაფხულზე, Zrda პროექტმა ელიზბარის მსგავს ხუთ ფერმერს გადასცა სათბურის კონსტრუქცია და გადასახური მასალა, წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობილობა და, ასევე, გაუწია ტექნიკური დახმარება ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების ათვისების მიზნით, რათა პანკისის თემებში მოეწეოს ხუთი სასათბურე სადემონსტრაციო ნაკვეთი. აღსაღნიშნავია რომ ადგილობრივმა ფერმერებმა ასევე ისარგებლეს „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით“, რომელსაც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან (IFAD) ერთად. პროგრამის ფარგლებში ფერმერებმა შეიძინეს ხელის ტრაქტორი და ხელსაწყოები, რომლის ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ მოახდინა.

ადგილობრივი მოსახლეობისთვის დახმარების გაძლიერების მიზნით, 2017 წლის მარტში, Zrda პროექტმა ასევე გამოაცხადა მცირე გრანტების პროგრამა პანკისის ხეობის თემებისთვის. პროგრამა დაეხმარება პანკისის 30 მცირე ბიზნესის წარმომადგენელს; მათ შორის ათს იგი დახმარებას გაუწევს უკვე 2017 წელს. მცირე გრანტების პროგრამა უფრო მრავალფეროვანს გახდის იმ საქმიანობებს, რომლებსაც Zrda პროექტი უკვე ახორციელებს პანკისის ხეობაში. რაც შეეხება ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, საოჯახო სასტუმროების თერთმეტ ადგილობრივ მფლობელს, პროექტის მხარაჭერით, ჩაუტარდა ტრენინგები ელექტრონული მარკეტინგის კუთხით, რათა რეგიონში საოჯახო სასტუმროების მფლობელებმა მიიღონ ცოდნა მარკეტინგული ინსტრუმენტების შესახებ და, შესაბამისად, გააუმჯობესონ და გაზარდონ შემოსავლების მიღების პოტენციალი. შედეგად, პანკისის ხეობის ყველა 11 საოჯახო სასტუმროს მფლობელი დარეგისტრირდა ელექტრონულ პლატფორმა booking.com-ზე და მათ უკვე დაიწყო სტუმრების მიღება.



**USAID**  
აშშ-ის საგარეო სახმელეთო  
დახმარების სააგენტო

პროექტი ზრდა საქართველოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



**Chemonics**  
Development works here.

პროექტი Zrda მუშაობს პანკისის ხეობის ოთხივე თემში და დახმარებას უწევს მათ საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობის გზით. გარდა ამისა, პროექტი ტექნიკურ დახმარებას უწევს რეგიონის ცნობადობის გაზრდას პანკისის ხეობაში წარმოებული პროდუქციის ბრენდის ფორმირებისა და ადგილობრივი ტურიზმის განვითარების გზით. პროგრამის განხორციელების შედეგად მომავალი სამი წლის განმავლობაში მოსალოდნელია 200 სამუშაო ადგილის შექმნა, გაყიდვების გაზრდა 30 მცირე ბიზნესისთვის და შემოსავლების ზრდა 2000 შინამეურნეობისთვის.

*USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა* არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 70 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდება შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge> და [www.zrda.ge](http://www.zrda.ge).

*USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში:* უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ამერიკმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. პროექტები, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>